საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო, ტელ: (+995 32) 2753959

N 11/2285

10/04/2023

2285-11-2-202304101038

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს

გიგზავნით, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-სთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, გურიის სატყეო სამსახურის ჩოხატაურის სატყეო უბანში, 2172 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ” სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 07/04/2023წ. N714/ს ბრძანებას.

გთხოვთ, ამავე ბრძანებით განსაზღვრული საკომპენსაციო საფასურის ჩარიცხვა განახორციელოთ შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი -TRESGE22, სახაზინო კოდი (ანგარიში) N707367521. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის შესახებ” დებულების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება უნდა დაარეგისტრიროთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ი გადახდის დამადასტურებელ ქვითართან ერთად წარმოადგინოთ სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში.

ამასთანავე, ტყითმოსარგებლე უფლებამოსილია - ბრძანებით განსაზღვრული საქმიანობა განახორციელოს, მხოლოდ ზემოაღნიშნული საკომპენსაციო საფასურის გადახდის,

განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების დარეგისტრირების და ფართობების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

დანართი: ელ. სახით.

პატივისცემით,

ზურიკო ყელიხაშვილი

დეპარტამენტის უფროსი